საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული
სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

2020 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის ახალი სასამართლო შენობის მაკეტის პრეზენტაცია

- 2020 წლის ივლისში, თბილისის საქალაქო სასამართლოში გაიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ახალი სასამართლო შენობის მაკეტის პრეზენტაცია.
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მაკეტის პრეზენტაციას ესწრებდნენ: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო ქადაგიძე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ნიკოლოზ მარსაგიშვილი, იუსტიციის საბჭოს წევრები: დიმიტრი გვრიტიშვილი და ირაკლი შენგელია, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე სერგო მეთოფიშვილი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამათლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე თემურ გოგოხია, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მენეჯერი მარიამ ცქიფურიშვილი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის ახალი სასამართლო შენობის მაკეტის პრეზენტაცია

- ❖ ახალი საქალაქო სასამართლოს შენობა წარმოადგენს რკინაბეტონის კარკასულ 9 სართულიან, ურიგელო სისტემის ნაგებობას. საძირკვლის ტიპს წარმოადგენს მონოლითური ფილა.
- ❖ ახალი სასამართლოს შენობის საპროექტო განაშენიანების საერთო ფართობი შეადგენს 25677.1 კვ.მ

  მათ შორის:
- ❖ სასამართლოს შენობა: 25455.3 კვ.მ
- ❖ არსებული ელ.ქვესადგური-46.8 კვ.მ
- ❖ საქვაბე-151.0 კვ.მ

დაცვის ჯიხური N1-12 კვ.მ

დაცვის ჯიხური N2-12.0 კვ.მ

სასამართლოს შენობის აგებულება:

- ❖ მიწისქვეშა-ერთი სართული, ხოლო მიწის ზევით - 8 სართული ორ ბლოკად გადანაწილებულ ერთ მთლიან შენობადაა გადაწყვეტილი.
- ❖ ობიექტის ფუნქციური დანიშნულების მაქსიმალურად ეფექტური სამუშაო გარემოს შექმნის მიზნით, სისხლის სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიები, სასამართლოს დარბაზები და სამუშაო სივრცეები ზონალურად გადანაწილდება, რომელთა შორის კავშირები დამყარდება ლითონ კონსტრუქციის ხიდებით. ხიდები შეფუთული იქნება თეთრი ფერის ალუკობონდის კომპოზიტური მასალებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის მიწისქვეშა სართულზე განთავსდება:

❖ მსჯავრდებულთა დროებით განთავსების 36 საკანი, მათ შორის:

❖ 3 საკანი არასრულწლოვანთათვის;

❖ საბადრაგო სამსახურის საგუშაგო ოთახები;

❖ ნივთმტკიცების შესანახი და საარქივო სივრცეები;

❖ მიწისქვეშა ავტოსადგომი 80 ავტომობილზე.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალ შენობაში გათვალისწინებულია 52 სასამართლო დარბაზი. მათ შორის:

❖ სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 25 დარბაზი;

❖ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 22 დარბაზი;

❖ ნაფიცმსაჯულთა 5 დარბაზი;

❖ მოსამართლეთა სამუშაო 80 ოთახი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის ახალი სასამართლო შენობის მაკეტის პრეზენტაცია

❖ სასამართლოს შენობის პირველი სართულის ცენტრალური ჭერი ორ სინათლიანია და ცენტრალური ფოიები გადახურულია ორი სინათლის შემქმნელი ე.წ ზამთრის ბაღის მაფორმირებელი ალუმინის კარკასზე აწყობილი ნაწრთობი შუშის გადახურვით, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ ბუნებრივ განათებასა და განიავებას.

პირველ სართულზე განთავსდება

❖ მოქალაქეთა მომსახურების ფოიე სრული ინფრსტრუქტურით;

❖ ნაფიც მსაჯულთა სარეგისტრაციო და საბრიფინგო სივრცე,

❖ სამზარეულო ორი იზოლირებული სასადილო სივრცით მოქალაქეთათვის და თანამშრომელთათვის.



❖ მეორე და მესამე სართულებზე, ორ ცალ-ცალკე ბლოკში განთავსებულია ადმინისტრაციულ საქმეთა და სისხლის სამართლის კოლეგიების და ნაფიც მსაჯულთა დარბაზები. ასევე მოსამართლეების სამუშაო ოთახები და მათი აპარატები.

❖ მე-4 სართულის დაბალ ფლიგელში და მე-7 სართულის მაღალ ფლიგელში დაგეგმარებულია ტერასები, რომელთა ზედაპირი დაფარულია ხელოვნური ბალახით. ამავე სართულებზე განთავსებულია საკონფერენციო დარბაზები კოლეგიების მიხედვით და კოლეგიების თავმჯდომარეების სამუშაო სივრცეები;

❖ მერვე სართულზე განთავსებულია მოსამართლეების სამუშაო ოთახები, მოსამართლეების აპარატების ოთახები, მწერალ-თანაშემწეთა ოთახები და ბიბლიოთეკა.

❖ თბილისის საქალაქო სასამართლოს ახალი შენობის სართულებზე დერეფნები დუბლირებულია, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე სწორი ზონირების შესაბამისად;

❖ მოქალაქეები და თანამშრომლები ისარგებლებენ სხვადასხვა დერეფნით;

❖ სასამართლო დარბაზებში მოსამართლეთა და მოქალაქეთა შესვლაც იქნება იზოლირებული;

❖ მესამე ცალკეულ ზონას წარმოადგენს მსჯავრდებულთა საკნების დონიდან სასამართლო დარბაზებში ამომავალი ლიფტები და კიბეები;

❖ აღნიშნული სივრცეების ასეთი სახით დაგეგმარება სასამართლოს სამუშაო პროცესის ეფექტურად წარმართვის საფუძველია;

❖ მოქალაქეების სართულებზე გადაადგილება ხდება, როგორც მაღალი სტანდარტის ლიფტებით, ასევე კიბეებით. როგორც შენობა, ასევე გარე ტერიტორია სრულადაა ადაპტირებული შშმ პირთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილებისთვის.

სასამართლო შენობის გარე ტერიტორია დაყოფილია:

1. მოქალაქეთა მისასვლელი სივრცით, სადაც ასევე გათვალისწინებულია სკვერის მოწყობა;
2. სასჯელაღსრულების საბადრაგო მანქანებისთვის განკუთვნილი ზონად;
3. სასამართლოს თანამშრომელთათვის განკუთვნილ სივრცედ, სადაც ასევე განთავსდება საქვაბე და საგენერატორო ქვესადგური.

- ❖ ყველა მისასვლელთან განთავსებული იქნება დაცვის ჯიხურები;
- ❖ ტერიტორიაზე საავტომობილო შესვლით, მიწისქვეშა საპარკინგე სივრცით და ღია ავტოსადგომით ისარგებლებენ მხოლოდ თანამშრომლები;
- ❖ ტერიტორიის პერიმეტრი, ისევე როგორც შენობა სრულად აღიჭურვება სათვალთვალო კამერებით;
- ❖ სასამართლოს შენობა სრულადაა უზრუნველყოფილი ავტომატური ხანძარქრობის საშხეფი სისტემებითა და სახანძრო ჰიდრანტებით.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, ანა კალანდაძის ქუჩა N7ა-ში მდებარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის შენობაში, არსებულ სამივე სასამართლო სხდომათა დარბაზში, სარეაბილიტაციო (სარემონტო) სამუშაოები ჩატარდა.

❖ დარბაზების განახლება, 2015 წლის შემდგომ (შენობაში სასამართლოს გადასვლის შემდგომ) არ ჩატარებულა;

❖ რეაბილიტაციის ფარგლებში შეკეთდა სხდომათა დარბაზის კედლები და ჭერი.





❖ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 01/12/2020 წ. N4 კორონავირუსის (*COVID*-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომედაციის გათვალისწინებით, მოქალაქეთა მისაღებ ფოიეში და სასამართლოს სხდომათა დარბაზებში მოსამართლეთა მაგიდებზე დამონტაჟდა გამჭვირვალე დამცავი ბარიერები (ორგმინები).



- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა.
- პროექტის ფარგლებში სრულად განახლდა 1000 კვ.მ.-მდე დაზიანებული სახურავის საფარი.

- მოქმედი სტანდარტების შესაბამისად, კონსტრუქციამდე მოიხსნა შენობის დაზიანებული სახურავი, რის შემდგომაც მოეწყო ქვიშა-ცემენტის გამათანაბრებელი ფენა, დაიგო პირველი ფენა ე.წ. ბიკროსტი (ორთქლიზოლაცია). სახურავის დათბუნების მიზნით დაიყარა ე.წ. პემზა, რომელზეც მოეწყო 4სმ სიგანის ქვიშა-ცემენტის მოჭიმვა.
- გადახურვის სამუშაოები დასრულდა პირველი და მეორე ფენა ლინოკრომის მოწყობით.

❖ ჩატარებული ტექნოლოგია, მაქსიმალურად ზრდის ბრტყელი გადახურვის მქონე შენობების სახურავების სიცოცხლისუნარიანობას.

❖ პროექტის ფარგლებში, რეაბილიტირებულ სახურავზე ჩანაცვლდა არსებული 100მმ დიამეტრის პლასტმასის მილები, უფრო დიდი დიამეტრის 150 მმ ფერადი თუნუქის მილებით, რაც მაქსიმალურად შეამცირებს მილებში წყლის გატარების პრობლემას და მასში სასამართლოს შენობის ირგვლივ არსებული წიწვოვანი ხის ნარგავებიდან ჩამოცვენილი წიწვებით გაჭედვის ალბათობას.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ რუსთავის საქალაქო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს;

❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ნიკოლოზ მარსაგიშვილმა, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძემ, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავამ, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ დეპარტამენტის მიერ შედგენილია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის ფასადის სრულ რეაბილიტაციას;

❖ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოეწყობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი პანდუსი და სველი წერტილი.

❖ უშუალოდ უსინათლოთა და მცირემხედველთათვის დამოუკიდებლად გადაადგილებისთვის, დაგეგმილია ტაქტილური ბილიკების მოწყობა.

❖ შეიცვლება სასამართლოს ძირითადი შემოსასვლელი კარი, რომელიც იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების საჭიროებისთვის განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი.

- ❖ რეაბილიტაცია სრულად ჩაუტარდება საბადრაგოს და საპატიმრო საკნებს, რომლებიც აღიჭურვება მაღალი ხარისხის სამეთვალყურეო აუდიო - ვიდეო ანტივანდალური სისტემით;
- ❖ პროექტის ფარგლებში სრულად განახლდება საბადრაგოს სავენტილაციო სისტემა.

❖ სასამართლოს შენობაში შიდა გადაგეგმარების შედეგად დამატებით მოეწყობა სამი სამუშაო ოთახი.

❖ სასამართლოს ფოიეში, შშმ პირთათვის გაადვილდა კანცელარიის თანამშრომლებთან დოკუმენტაციის მიმოცვლის პროცედურა.

❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაასრულა ზუგდიდის რაიონული სასამართლო შენობის სრული მასშტაბური სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ფარგლებში სასამართლოს არსებულ შენობას დაემატა დაახლოებით 300 კვ.მ. საოფისე ფართი.

❖ სასამართლოს შენონაში მოეწყო ადგილობრივი სასამართლოს არქივი, არასრულწლოვანთა გასაუბრების ოთახი. მიშენებულ ფართში განთავსდა ხუთი მოსამართლისთვის სამუშაო ოთახი, აპარატის თანამშრომლებისთვის სამი სამუშაო ოთახი, შენობას დაემატა ე.წ საიდუმლო ოთახიც.

❖ პროექტი ასევე ითვალისწინებდა, არსებული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას. კეთილმოეწყო ეზო, შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად მოეწყო სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემა, დამონტაჟდა ფასადის და ეზოს გარე განათება, მოეწყო პანდუსი.



❖ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობაში, ავეჯის განახლება 2010 წლის შემდეგ არ განხორციელებულა.

❖ სასამართლოში, არსებული ავეჯი და ინვენტარი ამორტიზირებული და დაზიანებული იყო.

❖ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ სრულად განახლდა ავეჯი და ინვენტარი.



❖ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, დამონტაჟდა ახალი დიზაინის და კონცეფციის ავეჯი, მათ შორის არასრულწლოვანთა გასაუბრების ოთახში და დამატებით მოწყობილ სასამართლო სხდომათა დარბაზში.



ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

❖ ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობა 2000 წელს აშენდა.

❖ ის ერთ - ერთი შენობაა საქართველოში, რომელიც სპეციალურად სასამართლოსთვის აშენდა და მისი ფასადის დიზაინი მოსამართლის სავარძლის ანალოგიურ სტილშია გადაწყვეტილი. 2004-2007 წლებში შენობის ფასადი სრულად შეიცვალა და ალუკობონდის ფილებით შეიმოსა, რომელიც ადგილობრივი კლიმატის გათვალისწინებით არაეფექტური გამოდგა, განიცადა კოროზია.

❖ ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობაში, 2007 წლის შემდეგ კაპიტალური რემონტი არ განხორციელებულა.

ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, სსიპ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ, ადგილზე შეიწავლა მდგომარეობა და მოამზადა დასკვნა, რომლის თანახმად, სასამართლოს პერსონალის და მოქალაქეთა უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით, აუცილებელია ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობის ფასადის მოპირკეთების შეცვლა და ალუკობონდის საფარის დემონტაჟი.

❖ პროექტის მიხედვით, შეიცვლება სახურავის ორგმინით დახურული გამჭვირვალე გადახურვის ნაწილი. შენობა ადაპტირდება შშმ პირთათვის. მოეწყობა სახანძრო სისტემისთვის განკუთვნილი წყლის ავზი;

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, ასევე განხორციელდება შიდა ფართების ნაწილობრივი რეაბილიტაცია.



❖ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ახალი, თანამედროვე მასალებით ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობის ისტორიული იერსახის აღდგენა;

❖ შენობის ენერგო ეფექტურობის გაზრდის და ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით, შენობის ფასადი შეიმოსება ე.წ. XPS-ის ფილებით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები



❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა.

❖ სამუშაოების მიმდინარეობის პროცესი, მცხეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე ბიძინა სტურუამ, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავამ, დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსმა ალექსი ლოლიშვილმა და მცხეთის რაიონული სასამართლოს მენეჯერმა დიმიტრი ნიაზაშვილმა დაათვალიერეს.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ შედგენილი პროექტი ითვალისწინებდა, როგორც გარე, ისე შიდა ფართების ნაწილობრივ რეაბილიტაციას.



❖ პროექტის მიხედვით შენობა ადაპტირდა შშმ პირთათვის, შეიცვალა სასამართლოს ძირითადი შემოსასვლელი კარი, რომელიც არ იყო შშმ პირების საჭიროებისთვის განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი.



- ❖ პროექტის მიხედვით, მედიაციის შესახებ ამოქმედებული კანონის გათვალისწინებით მოეწყო მედიაციის სივრცე. მედიაციის ოთახებში მოეწყო ალუმინის ვიტრაჟები კარის ჩათვლით, რომელიც თეთრად არის დაფერილი შესაბამისი ფერადი სტიკერით და დეკორატიული ჩარჩოთი.
- ❖ ოთახებში მოეწყო მაღალი ხარისხის ლამინირებული იატაკი, ხოლო კედლების მოპირკეთება განხორციელდა ორმაგი მერქან ბურბუშელოვანი პანელებით.





❖ პროექტის ფარგლებში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში ასევე რეაბილიტირდა ფოიე, კანცელარიის და მანდატურის ოთახები. როგორც მედიაციის, ისე რებილიტირებულ ოთახებში მოეწყო მაღალი ხარისხის ლამინირებული იატაკი. მედიაციის სივრცეები აღიჭურვა შესაბამისი ავეჯით.

❖ რეაბილიტირებულ ოთახებში დამონტაჟდა ავტომატური დამისამართების სახანძრო კვამლის დეტექტორი, რომელიც დაერთდა და დაპროგრამდა ასრებული ქსელის მართვის პანელზე, რომლის მოწყობა ასევე 2020 წელს განხორციელდა. ოთახები აღიჭურვა კონდიცირების სისტემით.

❖ სასამართლოს შენობაში, დამხარე ფართების გაზრდის მიზნით, განხორციელდა დამხმარე შენობების რეაბილიტაცია, კერძოდ:

❖ რეაბილიტირდა როგორც სახურავი, ასევე შიდა ფართი;

❖ შეიცვალა დაზიანებული სანიაღვრე ცხაურები;

❖ მოეწყო შლაგბაუმი დისტანციურად მართვადი პულტით.

❖ შენობაში ასევე მოეწყო შშმ პირების საჭიროებისთვის განსაზღვრული, სტანდარტების შესაბამისი სველი წერტილი, ორმხრივი გაღების მდფ-ის კარით.



ვანის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით 2019-2020 წწ. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, ვანის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.



ვანის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები



❖ ვანის მაგისტრატი სასამართლოს შენობას 2008 წლის შემდეგ არ ჩატარებია სარეაბილიტაციო სამუშაოები;
❖ სასამართლოს შენობა უმძიმეს მდგომარეობაში იყო;
❖ დაზიანებული იყო სახურავი, ფასადი, ინტერიერი;
❖ შენობას არ ჰქონდა შესასვლელი პორტალი.

❖ აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, გადაწყდა შენობის სრული რეაბილიტაცია;
❖ ადგილობრივ თვითმართველობასთან შეთანხმებით, შენობაში მოეწყო შესასვლელი პორტალი;
❖ სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა შენობის ინტერიერს;
❖ განახლდა ელექტროობის და სახანძრო უსაფრთხოების სისტემები.

❖ დამონტაჟდა ფასადის და ეზოს განათება;
❖ შეიცვალა სასამართლოს შენობის სახურავი;
❖ განახლდა ფასადი;
❖ კეთილმოეწყო ეზო.

❖ პროექტის ფარგლებში სრულად განახლდა შენობის ინფრასტრუქტურა.

❖ შენობა ადაპტირდა შშმ პირთათვის;

❖ მოეწყო პანდუსი და ამწე-ლიფტი;

❖ განახლდა გათბობის სისტემა, რის შემდგომაც შენობა მომარაგდება ცხელი წყლით.

❖ უახლოეს პერიოდში დაგეგმილია სასამართლოს შენობის ახალი ავეჯით აღჭურვა.



❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავამ და ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე შოთა ნიკურაძემ, თერჯოლის მაგისტრატ სასამართლოში, სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს.

თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები

❖ იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით, 2020 წწ. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა.

❖ პროექტის ფარგლებში რეაბილიტირდა სასამართლოს ეზო;
❖ გარემონტდა შენობის შიდა ფართები.

❖ შეიცვალა სასამართლოს შენობის დაზიანებული, კოროზირებული გადახურვა;
❖ შერემონტდა შენობის გარე ფასადი;



❖ სტანდარტების შესაბამისად მოეწყო შშმ პირთათვის განკუთვნილი პანდუსი და სველი წერტილი.



❖ მედიაციის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების შემდგომ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 27.12.2019 წ. N1/366 გადაწყვეტილებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, საერთო სასამართლოებში დაიწყო სამედიაციო სივრცეების მოწყობა;

❖ სავალდებულო მედიაციის კანონის ამოქმედებამდე, საპილოტე პროგრამის ფარგლებში, რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამია ფხაკაძის ინიციატივით, გაეროს და ევროსაბჭოს დაფინანსებით, 2018 წელს სამედიაციო სივრცე მოეწყო რუსთავის საქალაქო სასამართლოში.

❖ 2018 წ. ოქტომბერში, რუსთავის საქალაქო სასამართლოში იმყოფებოდა ევროკავშირის ელჩი საქართველოში კარლ ჰერცერი და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი ღასან ხალილი, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს, რუსთავის საქალაქო სასამართლოში მოწყობილი სამედიაციო სივრცის კონცეფციას.

❖ მედიაციის შესახებ ამოქმედებული კანონის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა დაიწყო სასამართლოებში მედიაციის ოთახების მოწყობა. საერთო სასამართლოებში მედიაციის ოთახი, რუსთავის საქალაქო სასამართლოში, უკვე განხორციელებული პროექტის ანალოგიური დიზაინით ეწყობა.



❖ მოწონებული კონცეფციის პრინციპების გათვალისწინებით, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა, 2020 წელს, საერთო სასამართლოების სისტემის სხვა სასამართლოებშიც დაიწყო მედიაციების სივრცეების მოწყობის სამუშაოები.



❖ 2020 წელს, მედიაციის სივრცის მოწყობის სამუშაოები დასრულდა: თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ბოლნისის, გორის, მცხეთის რაიონულ სასამართლოებში.

❖ მედიაციის სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმინარეობს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში, თელავის და გურჯაანის რაიონულ სასამართლოებში.



❖ 2021 წელს დაგეგმილია მედიაციის სივრცეების მოწყობა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ახალციხის, ამბროლაურის, თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოებში, თერჯოლის, ჭიათურის, დედოფლისწყაროს, ქარელის მაგისტრატ სასამართლოებში.

❖ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 01/12/2020 წ. *N4* კორონავირუსის (*COVID-19)* გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რეკომედაციის გათვალისწინებით, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ გატარდა შესაბამისი ღონისძიებები.

❖ კორონა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების ფარგლებში, საერთო სასამართლოების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის, ოპერატიულად შეძენილ იქნა: სადეზინფექციო ხელსაცხები, პირბადეები, სამედიცინო ხელთათმანები, დამცავი ეკრანები.

❖ კორონა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ჩატარებული ღონისძიებების ფარგლებში, სასამართლოების მოქალაქეთა მისაღებ ფოიეში და სასამართლოს სხდომათა დარბაზებში მოსამართლეთა მაგიდებზე, დამონტაჟდა გამჭვირვალე დამცავი ბარიერები (ორგმინები).

კორონა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ჩატარებული პრევენციული ღონისძიებები

❖ დეპარტამენტის მიერ, სასამართლოს შენობა - ნაგებობებს, როგორც პერიოდულად, ასევე საჭიროების დროს უტარდება სადეზინფექციო სამუშაოები.



❖სასამართლოებს გადაეცათ დისტანციური თერმომეტრები და შესაბამისი უნიფორმები;

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მომავალშიც გაარძელებს კორონა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ანალოგიურ, პრევენციულ ღონისძიებებს, რეკომენდაციების მიხედვით, სასამართლოებიდან მიღებული მოთხოვნების შესაბამისად.

საერთო სასამართლოების შენობებში სახანძრო სისტემების მოწყობა

❖ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2019-2020 წწ. საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში, 11 სასამართლო შენობაში თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი სახანძრო სისტემები მოეწყო.





❖ თბილისის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო, ქუთაისის საქალაქო, გორის, ხაშურის, გურჯაანის, მცხეთის, საჩხერის, ახალციხის რაიონული, ლაგოდეხის, ტყიბულის მაგისტრატი სასამართლოების შენობები, აღიჭურვა არა მხოლოდ თანამედროვე სტანდარტების მაღალტექნოლოგიური სახანძრო მოწყობილობებით, ასევე სახანძრო სტენდებით, საევაკუაციო გეგმებით და პირველადი ქრობის საშუალებებით.



❖ კვამლის და კომბინირებული დეტექტორები დამონტაჟებულია მთელს შენობაში, რომლებიც არის ავტომატური დამისამართებით და რომელთა ამოქმედებასაც გამოიწვევს კვამლისა და მაღალი ტემპერატურის დაფიქსირება.

საერთო სასამართლოების შენობებში სახანძრო სისტემების მოწყობა

❖ თერთმეტივე სასამართლო შენობაში გათვალისწინებულია ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სისტემა (სიგნალიზაცია);

❖ მოცემული სისტემა მოიცავს სახანძრო, საგანგაშო და ავარიული განათების სისტემას, ასევე გარე და შიდა ჰიდრანტებს.



❖ სიგნალიზაციის ამოქმედების შემთხვევაში, სისტემა ავტომატურად უზრუნველყოფს შენობაში ელექტროენერგიის გათიშვას. დენის წყაროს გათიშვის შემთხვევაში საგანგაშო სისტემა გადადის სათადარიგო კვებაზე (აკუმულატორებზე);

❖ განგაშის შესახებ ხმოვანი და SMS შეტყობინება ეგზავნება სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით სასამართლოს მენეჯერს, დაცვის თანამშრომელს ან სასამართლოს იმ თანამშრომელს, რომლის საკონტაქტო ინფორმაცია დაფიქსირებულია სისტემის დაპროგრამებისას.

- ❖ ქუთაისის სააპელაციო, ქუთაისის საქალაქო და გურჯაანის რაიონულ სასამართლოებში მოეწყო სახანძრო სატუმბი სადგური, თავისივე რეზერვუარით;
- ❖ სახანძრო სატუმბი სადგური მუშაობს, როგორც ელექტროენერგიაზე, ასევე დიზელის ტუმბოზე, რომელიც დამონტაჟებულია სატუმბ სადგურში.

- ❖ თერტმეტივე სასამართლოს საქვაბეში დამონტაჟდა მხუთავი გაზის და ბუნებრივი აირის მგრძნობიარე დეტექტორები. ასევე სოლენოიდური ჩამკეტი - ბუნებრივი აირის მომწოდებელი მილის ჩამკეტი, რომელიც ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში გაზის დაკეტვას უზრუნველყოფს.

საერთო სასამართლოების შენობებში სახანძრო სისტემების მოწყობა



- ❖ სასამართლოებში, სადაც მოეწყო სანაძრო სისტემა, მთელს შენობაში დამონტაჟდა ავარიული განათება, რომელიც ემსახურება ხანძრის ან საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში ხალხის სწრაფ და ეფექტურ ევაკუაციას;
- ❖ დენის წყაროს გათიშვის შემთხვევაში, განათების სისტემა გადადის სათადარიგო კვებაზე (აკუმულატორებზე), რომლებიც ჩაშენებული აქვს თითოეულ მოწყობილობას;
- ❖ დერეფნებში, კიბის უჯრედებთან და შენობის გასასვლელებთან დამონტაჟებულია გასასვლელის მანიშნებლები;
- ❖ მოცემული სისტემის კაბელგაყვანილობა არის ცეცხლმედეგი 90 წუთის განმავლობაში;
- ❖ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არქივში დამონტაჟდა სპეციალურად არქივისათვის განკუთვნილი სახანძრო სისტემა.

- ❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი გეგმავს მსგავსი სამუშაოები ჩაატაროს სხვა სასამართლოებში და რითაც გაიმართება უსაფრთხოების და სახანძრო სისტემები.

❖ სასამართლოებში, სადაც განხორციელდა სახანძრო სისტემების მონტაჟი, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, განხორციელდა სასამართლოების წარმომადგენლების გადამზადება.



❖ ტრენინგები ჩატარდა სახანძრო უსაფრთხოების სფეროში აკრედიტებული ორგანიზაციის - „საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციას“ მიერ.

❖ ჩატარებული ტრენინგის თემას წარმოადგენდა - "სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის".

❖ ტრენინგის მიზანს წარმოადგენდა: სახანძრო საფრთხეების გამოვლენის მეთოდების შესწავლა, ასევე სახანძრო უსაფრთხოების აუცილებელი ინსტრუქციებისა და პროცედურების შესწავლა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები და საფრთხეები, რომლებიც შეიძლება გამოიწვიოს ხანძრის შედეგებმა.

❖ პრაქტიკული კურსის ფარგლებში, მონაწილეებმა შეისწავლეს სახანძრო მოწყობილობების გამოყენების და პირველადი ქრობის საშუალებების გამოყენება, წარმატებით ჩააბარეს სასერტიფიკაციო გამოცდა;

❖ ტრენინგში მონაწილეებს გადაეცათ აკრედიტირებული სერტიფიკატები - „სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ადმინისტრაციულ-საზოგადოებრივი ობიექტები“- ISO 17024 სტანდარტის შესაბამისად.

2020 წელს საერთო სასამართლოების მასშტაბით IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები

❖ 2020 წლის განმავლობაში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციის ფარგლებში, სასამართლო სხდომების დისტანციურად ჩასატარებლად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა შეიძინა და მიაწოდა საერთო სასამართლოებს 210 ერთეული ვებ-კამერა.

❖ საერთო სასამართლოების კომპიუტერული პარკის განახლების პროგრამის ფარგლებში, დამატებით შესყიდული იქნა 320 ერთეული მაგიდის კომპიუტერი, რომლის ნაწილი მიწოდებულია საერთო სასამართლოებში.

❖ საერთო სასამართლოებში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დისტანციურად სასამართლო სხდომების ჩასატარებლად, საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა შეიძინა და მიაწოდა 55 ნოუთბუქი.



❖ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოთხოვნით, მოეწყო დომოფონის ტიპის დაშვების სისტემა.

❖ თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის საბეჭდი ტექნიკის განახლების ფარგლებში, შესყიდულ და დამონტაჟებულ იქნა 240 ერთეული თანამედროვე მულტიფუნქციური HP-ის წარმოების პრინტერი;

❖ თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში, ამორტიზირებული მაღალი წარმადობის ასლგადამღები ტექნიკის ჩანაცვლების მიზნით, შეძენილ იქნა 7 ერთეული A3 ფორმატის თანამედროვე ასლგადამღები აპარატები, რათა არ შეფერხდეს მხარეებზე საქმის მასალების ასლების გადაცემის პროცესი;

❖ სასამართლოების დეპარტამენტმა, რაიონულ სასამართლოებში ამორტიზირებული საშუალო წარმადობის ასლგადამღები ტექნიკის ჩასანაცვლების მიზნით შეიძინა 8 ერთეული A4 ფორმატის თანამედროვე ასლგადამღები აპარატები, რათა არ შეფერხდეს მხარეებზე საქმის მასალის ასლების გადაცემის პროცესი.

❖ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ქუთაისის საქალაქო და მის მაგისტრატ სასამართლოებში, საბეჭდი ტექნიკის ჩანაცვლების ფარგლებში, შესყიდულ და მიწოდებულ იქნა 100 ერთეული თანამედროვე მულტიფუნქციური HP-ის წარმოების პრინტერი.

❖ ბათუმის საქალაქო და ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში და მათ მაგისტრატ სასამართლოებში საბეჭდი ტექნიკის ჩანაცვლების ფარგლებში, შესყიდულ და მიწოდებულ იქნა 47 ერთეული თანამედროვე მულტიფუნქციური HP ის წარმოების პრინტერი.

❖ თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობისა და მიმდებარე პერიმეტრისთვის, მიმდინარეობს უსაფრთხოების ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის და მონიტორინგის მონტაჟის სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა.



❖ 2020 წელს განხორციელდა Dell-EMC ჭარბი დისკური მასივის გაფართოება.



❖ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს პერიმეტრზე, სხდომათა დარბაზებში და საბადრაგოში, დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა.

❖ სასამართლოების დეპარტამენტმა, თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის შეიძინა და მიაწოდა 3 ერთეული თანამედროვე მაღალი წარმადობის სკანერი (სასამართლოს საქმის მასალების ელექტრონულ ფორმატში მისაღებად).

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციისა და კავშირგაბმულობის სამმართველოს სპეციალისტების მიერ, კასპის მაგისტრატ სასამართლოში, დამონტაჟდა და სრულად გაიმართა ვიდეო სამეთვალყურეო უსაფრთხოების სისტემა.

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, 2020 წლის განმავლობაში, საერთო სასამართლოებისთვის შეძენილ იქნა 650 ერთეული უწყვეტი კვების წყარო (UPS).

❖ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2020 წლის განმავლობაში საერთო სასამართლოებისთვის მიწოდებულ იქნა:

❖ მულტიფუნქციური პრინტერი - 420 ერთეული;
❖ პორტატული კომპიუტერი (ნოუთბუქი) – 80 ერთეული;
❖ სკანერი - 8 ერთეული;
❖ პერსონალური კომპიუტერი - 350 ერთეული;
❖ მაღალი წარმადობის ასლგადამღები აპარატი - 8 ერთეული.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა განახორციელა საერთო სასამართლოების დატა ცენტრში არსებული, მოძველებული, დისტანციური დაკითხვის ვიდეო -საკონფერენციო სისტემის (Tandberg) სერვერების ექსპლუატაციიდან მოხსნა. დაინერგა ახალი თანამედროვე ვიდეო-საკონფერენციო სისტემის სერვერები (CISCO TelePresence).

- 2020 წელს განხორციელდა ქსელური უსაფრთხოების სისტემის CheckPoint ლიცენზიის შეძენა;
- ანტივირუსული პროგრამის ლიცენზიის დამატება 700 მომხმარებელზე;
- დატა ცენტრის სასერვერო ტექნიკისთვის (Lenovo) მწარმოებლის ოფიციალური გარანტიის შესყიდვა.
- დატა ცენტრის ქსელური აპარატურისთვის (CISCO) მწარმოებლის ოფიციალური გარანტიის შესყიდვა;
- დატა ცენტრის ინჟინრული ინფრასტრუქტურის (Rittal) აპარატურის მწარმოებლის ოფიციალური გარანტიის შესყიდვა;
- 2020 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში, განხორციელდა საერთო სასამართლოების 2021 წლისათვის საჭირო საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული სხვადასხვა სერვისების შესყიდვა.

❖ განხორციელდა თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებისთვის IP ტელეფონების შესყიდვა.

❖ საერთო სასამართლოების სხდომათა დარბაზებისთვის, 2020 წელს, განხორციელდა 50 ერთეული აუდიო გახმოვანების მიქშერის შესყიდვა.

❖ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, სრულად შეიცვალა მოძველებული კომპიუტერული ქსელი ახლით.

❖ თბილისის სააპელაციო სასამართლოში, განახლდა ქსელური აპარატურა, HP Aruba მიერ წარმოებული აპარატურით.

- იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული, სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, ხორციელდება სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 115 ავტომობილის დაზღვევა.

- დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ავტოპარკის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის, დეპარტამენტის მიერ ხორციელდება შესაბამისი რაოდენობის საწვავის, საქონლის და ტექნიკური მომსახურებების შესყიდვა.

- სადაზღვეო კომპანია სს ,,გლობალ ბენეფიტს ჯორჯიამ" 2020 წელს აანაზაღაურა დეპარტამენტის ავტომობილების სადაზღვევო შემთხვევების ხარჯი, თანხით 29754,99 ლარი, აქედან, შეიძინა ერთი ავტომობილი KIA PICANTO.

- ავტომობილების რაოდენობა სადაზღვეო პერიოდში შეადგენდა 115 ავტომობილს.

❖ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი რაიონული სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა ფონდების სისტემატიზაციისა და სასამართლო შენობების განტვირთვის, ასევე, საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვისა და ცენტრალიზებული აღრიცხვა-აღწერის მიზნით, სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა: საქალაქო, რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოში ძირითადი და სხვადასხვა კატეგორიის საქმეთა აღწერა-ინვენტარიზაცია, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით და მათი განლაგება-განთავსება არქივში შესაბამისი სასამართლოებისათვის გამოყოფილ ფონდებში.

❖ აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისას აღწერილი და მიღებულ იქნა მცხეთის, გორის, კასპის, თელავის, რუსთავის, ბოლნისის, გარდაბნის, მარნეულის, ახმეტის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, საგარეჯოს, ონის, ამბროლაურის, ხულოს, თბილისის, ქუთაისისა და და ბათუმის სასამართლოების (18 რაიონი) ძირითადი და სხვადახვა კატეგორიის, სულ 89,945 საქმე.

❖ დასრულდა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, სპეციალურად გამოყოფილ მარჯვენა ფლიგელში დაცული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წელს განხილული სამოქალაქო სამართლის 5503 საქმის, 2009 წლის სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის 13997 საქმის, 2010 წელს განხილული ადმინისტრაციული სამართლის 4980 საქმის, 2011 წელს განხილული სამოქალაქო სამართლის 14782 საქმის, (სულ 39,262 საქმე) ხელახალი აღწერა, რესტავრაცია და ერთიანი შიდა საძიებო სისტემის ელექტრონული ვერსიის შექმნა.

❖ სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების საექსპერტო - შემმოწმებელი კომისიების მიერ შეთანხმებულ იქნა და კანონით დადგენილი წესით დამტკიცდა, საერთო სასამართლოების არქივში დაცული ახმეტის რაიონული სასამართლოს 1947-1962, 1964-1975 წლების სამოქალაქო სამართლის მუდმივად შესანახ საქმეთა, ამავე სასამართლოს 1966-1975 წლების სისხლის სამართლის საქმეთა ანაწერები, აგრეთვე, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბოლნისის, ბორჯომის, გარდაბნის, გორის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, დმანისის, დუშეთის, თბილისის, თელავის, მარნეულის, მცხეთის, რუსთავის, საგარეჯოს, სიღნაღის, ცაგერის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის ტყიბულის, ქუთაისის საქალაქო, ქუთაისის სააპელაციო, ხარაგაულის, ხონის, ზუგდიდის, მარტვილის, სენაკის, ფოთის, ბათუმის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქედის, ქობულეთის შუახევის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის, ხულოს სასამართლოების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ 106 აქტი, სულ 91 948 საქმეზე. (ამჟამად მიმდინარეობს აღნიშნულ საქმეთა განადგურება-უტილიზაციის ტექნიკური სამუშაოები).

❖ დასრულდა ამორტიზებული 38 სტელაჟის შეცვლისა და 11 ახალის სტელაჟის განთავსების ტექნიკური სამუშაოები, რამაც საშუალება მოგვცა არ დატვირთულიყო ახალი საცავი, სადაც ძირითადად განლაგდა 2019-2020 წლის სამივლინებო საქმიანობის შედეგად შესანახად მიღებული საქმეები.

❖ მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012-2015 წწ საქმეების ხელახალი ინვენტარიზაცია, მათი განლაგება და აღწერებში ცვლილების შეტანა.

❖ იგეგმება შიდა ერთიანი საძიებო სისტემის ელექტრონული ვერსიის შექმნა

❖ მუდმივმოქმედ საექსპერტო კომისიაზე წარსადგენად, მათი შემდგომში სრულად განადგურების მიზნით, მუშავდება თბილისში, ქობულეთში, ხობსა და ქუთაისში მდებარე საცავებში დაცული 40-მდე საქალაქო, რაიონული და მაგისტრატი სასამართლოს მიერ განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის აქტები.

❖ გრძელდება არქივში მატერიალური სახით შენახული და დაცული საქმეების ელ.ვერსიის შექმნის შესახებ პროექტზე მუშაობა, რაც საჭიროებს როგორც საკანონმდებოლო ბაზის, ასევე ტექნიკური კუთხით სპეციფიკურ კვლევას და მატერიალურ რესურსს.



❖ 2021 წელს იგეგმება სამივლინებო საქმიანობის ფარგლებში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2017 დასრულებული, სამოქალაქო და სხვადასხვა კატეგორიის, ხოლო სხვა საქალაქო და რაიონული სასამართლოების მიერ 2018 წლამდე აღწერილი და დადგენილი წესით არქივზე ჩასაბარელი საქმეების მიღება-ჩაბარების სამუშაოები.

❖ საერთო სასამრთლოების არქივი, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისში, ქობულეთსა და ხობში ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ და რეაგირებენ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი სასამართლოებიდან, მოქალაქეთა და სახელმწიფო დაწესებულებათა მომართვებსა და წერილებზე. (სულ 31/12/2020 მდგომარეობით 18087 შემოსული-გასული წერილი).

„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით 2020 წელს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 82,51 მილიონი ლარი. საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსება შემცირდა 8 მილიონი ლარით და შეადგინა 74,51 მილიონი ლარი.

ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგი სახით:

						თანხა ლარებში
კოდი	დასახელება	2020 წლის დამტკიცებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	განხორციელებული ცვლილებები	2020 წლის დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	2020 წლის საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	82 510 000	-8 000 000	74 510 000	63 642 627	85.4%
	ხარჯები	66 805 000	0	66 805 000	58 921 682	88.2%
	შრომის ანაზღაურება	49 850 000	-50 000	49 800 000	43 491 710	87.3%
	საქონელი და მომსახურება	15 210 000		15 210 000	14 080 193	92.6%
	სოციალური უზრუნველყოფა	830 000	50 000	880 000	810 479	92.1%
	სხვა ხარჯები	915 000		915 000	539 300	58.9%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15 705 000	-8 000 000	7 705 000	4 720 945	61.3%


2020 წლის დაზუსტებული გეგმა
2020 წლის საკასო ხარჯი
49,800,000
43,491,710
15,210,000
14,080,193
880,000
810,479
915,000
539,300
7,705,000
4,720,945
შრომის ანაზღაურება
საქონელი და...
სოციალური...
სხვა ხარჯები
არაფინანსური...


საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლები - საკუთარი სახსრები (თანხა ლარებში)
2020 წლის დაზუსტებული გეგმა
2020 წლის საკასო ხარჯი
430,000
389,831
55,000
13,102
250,000
206,141
საქონელი და მომსახურება
სხვა ხარჯები
არაფინანსური აქტივების ზრდა

❖ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის, მე-9 პუნქტის შესაბამისად, სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან (საკუთარი სახსრებიდან). 2020 წლისათვის საკუთარი სახსრების შემოსულობები განისაზღვრა 244 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 200 ათასი ლარით. საბიუჯეტო წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად გადასახდელები გაიზარდა 535 ათასი ლარით და შეადგინა 735 ათასი ლარი.

						თანხა ლარებში
კოდი	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	2020 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დამტკიცებული)	განხორციელებული ცვლილებები	2020 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დაზუსტებული)	2020 წელს მიღებული შემოსავალი და გაწეული საკასო ხარჯი	შესრულება %
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა					
	შემოსულობები	244 000	0	244 000	472 026	193.5 %
	გადასახდელები	200 000	535 000	735 000	609 073	82.9%
	ხარჯები	145 000	340 000	485 000	402 933	83.1%
	საქონელი და მომსახურება	90 000	340 000	430 000	389 831	90.7%
	სხვა ხარჯები	55 000		55 000	13 102	23.8%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	55 000	195 000	250 000	206 141	82.5%
	ნაშთის ცვლილება	44 000	-535 000	-491 000	-137 047	

❖ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ 2020 წლის განმავლობაში შეადგინა 16 386 000 ლარი. აქედან საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში - 15 696 000 ლარი, ხოლო, საკუთარი სახსრების ფარგლებში - 690 000 ლარი.

❖ 2020 წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაიდო 279 ხელშეკრულება;

❖ 2020 წლის განმავლობაში საკუთარი შემოსავლების ფარგლებში დადებულია - 118 ხელშეკრულება;

❖ ნორმატიული აქტით დადგენილმა გადასახდელებმა გადააჭარბა 620 000 ლარს;

❖ ტენდერებიდან მიღებულმა დანაზოგმა 2020 წლისთვის გადააჭარბა 988500 ლარს.

❖ სხვა დანარჩენი

❖ ექსპერტიზა - სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 650 000 ლარი;

❖ ფოსტა - შპს საქართველოს ფოსტასთან ადგილობრივი საფოსტო და საფელდეგერო მომსახურებების ჯამური ღირებულება - 611302,16 ლარი

- ❖ ფინანსთა სამინისტროს მიერ მხარჯავ ერთეულებთან თანამშრომლობით გაწეული მუშაობის შედეგად, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად, შემუშავებულია ბუღალტრული ანგარიშების ახალი გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის 2014 წლის მეთოდოლოგიის (GFSM 2014) ეკვივალენტურ ანგარიშებთან.
- ❖ აქტიურ ეტაპზეა სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესის მიმდინარეობა, რომელშიც ჩართულია საჯარო სექტორის საბიუჯეტო ორგანიზაციები, მათ შორის საერთო სასამართლოების დეპარტამენტიც.
- ❖ აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე დეპარტამენტის საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს თანამშრომლებმა გაირეს სრული სასწავლო კურსი "საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტების IPSAS მიხედვით" საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემიაში.
- ❖ 2020 წლიდან, მხარჯავი ერთეულები ოპერაციებისა და სხვა მოვლენების შედეგად მომხდარ ცვლილების ასახვას მოვახდენთ ახალ ერთიანი უნიფიცირებული ანგარიშთა გეგმის საშუალებით, რომლის დანერგვის მიზანი სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა - ანგარიშგების უზრუნველსაყოფაა.
- ❖ საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო ახორციელებს ყოველდღიურ საქმიანობას: სხვადასხვა სამმართველოების მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ელექტრონულ პროგრამაში ამზადებს ვალდებულებისა და გადახდის დოკუმენტს შესაბამისი პარამეტრებით შემდგომი გადარიცხვისთვის. თვის მანძილზე განხორციელებული საკადრო ცვლილებების ამსახველ ბრძანებებზე დაყრდნობით ამზადებს შრომის ანაზღაურების საგადახდო დოკუმენტაციას. 6 თვის და წლიურ ჭრილში წარადგენს ბუღალტრულ ანგარიშგებას (ბალანსები) სახაზინო სამსახურის მიერ მოთხოვნილ ფორმატში. ინფორმაცია უნდა ასახავდეს დეპარტამენტის მიერ გაწეულ ფინანსურ საქმიანობას სრულად და შეიცავდეს უტყუარ ინფორმაციას სახელმწიფო სახსრების სწორი და გამჭვირვალე ხარჯვის კუთხით. გარდა აღნიშნულისა საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო ყოველთვიურად ამუშავებს და წარადგენს სხვადასხვა ინფორმაციის ამსახველ დეკლარაციებს, როგორც შემოსავლების სამსახურის, ასევე სტატისტისტიკის ეროვნული სამსახურის ელექტრონულ საიტებზე.

სარჩევი

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის ახალი სასამართლო შენობის მაკეტის პრეზენტაცია ---------- 3
2. თბილისის საქალაქო სასამართლო (ანა კალანდაძის ქუჩა N7ა) -----10
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოში შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 12
4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 14
5. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს შენობის ავეჯით აღჭურვა --18
6. ფოთის საქალაქო სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 22
7. მცხეთის რაიონული სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 25
8. ვანის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 30
9. თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოს შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები ---------- 33
10. მედიაციის სივრცის მოწყობა საერთო სასამართლოებში ----------36
11. კორონა ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ ჩატარებული პრევენციული ღონისძიებები ---------- 39
12. საერთო სასამართლოების შენობებში სახანძრო სისტემების მოწყობა ---------- 42
13. ტრენინგი სასამართლოების წარმომადგენლებისთვის ----------46
14. 2020 წელს საერთო სასამართლოების მასშტაბით IT მიმართულებით განხორციელებული ძირითადი პროექტები ------ 48
15. საერთო სასამართლოების ავტოპარკი ---------- 54
16. საერთო სასამართლოების არქივი ---------- 55
17. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსება ------ 59
18. 2020 წლის ანგარიში - სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო --- 62
19. საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველო ----------63